მულტირელიგიური საქართველო

რელიგია არის ადამიანთა რწმენის, სამყაროს შემეცნებისა და მასთან ბალანსის მიღწევის საშუალება. რწმენას ადამიანთა ცხოვრებაზე უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია. კაცობრიობის გარიჟრაჟზე ადამიანმა სამყაროს შეცნობა სწორედ უზენაესი არსის გაცნობიერებით დაიწყო, შედეგად იშვა მრავალი რელიგიური რწმენა-წარმოდგენა. ცივილიზაციების განვითარების პარალელურად ვითარდებოდა ადამიანთა რელიგიური ხედვა.

ათასწლეულების მანძილზე სხვადასხვა აღმსარებლობის ხალხი ხშირად უპირისპირდებოდა ერთმანეთს და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში 15000-ზე მეტი რელიგია ჩამოყალიბდა, მაშინ ამ კონფლიქტების მასშტაბების წარმოდგენა რთული არ უნდა იყოს. ისტორიას ახსოვს განსხვავებული აღმსარებლობის წარმომადგენლების დევნა-შევიწროვება, რელიგიური ომები: ჯვაროსნული ომები, პროტესტანტული ომები ევროპაში. რელიგიური შემწყნარებლობა საუკუნეების განმავლობაში რთულად მისაღწევი, თითქმის შეუძლებელი პროცესი იყო.

საქართველო და, კერძოდ, კავკასიის რეგიონი, უხსოვარი დროიდან მრავალეთნიკურ და მულტირელიგიურ გეოგრაფიულ არეალს წარმოადგენდა. აქ ერთმანეთს ერწყმოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მსოფლმხედველობა და კულტურა. ქართველთათვის უცხო არ იყო მრავალფეროვან სამყაროში განსხვავებულ რელიგიებთან თანამშრომლობა და თანაარსებობა... ალბათ, ამან განაპირობა ისტორიულად ქართულ სახელმწიფოში ტოლერანტული დამოკიდებულება განსხვავებული რელიგიებისა და კონფესიების მიმართ. ისტორიულმა წყაროებმა შემოგვინახა რელიგიური შემწყნარებლობის ბევრი ფაქტი. ამის მაგალითად დავით აღმაშენებელის ეპოქის გახსენებაც საკმარისია. მაშინ, როდესაც მსოფლიო ორ რელიგიურ ბანაკად - ქრისტიანულ და მუსლიმურ - იყო გაყოფილი, მაშინ, როდესაც ამ ორ სამყაროს ჯვაროსნული ომების სისასტიკე ანადგურებდა, საქართველოში მუსლიმურ მოსახლეობას უდიდესი ეკონომიკური და კულტურული პრივილეგიები გააჩნდა. სწორედ ამგვარმა შემწყნარებლურმა, თანასწორობაზე დაფუძნებულმა დამოკიდებულებამ, საუკუნეთა განმავლობაში მოგვცა ფიზიკური გადარჩენისა და განვითარების შესაძლებლობა.

ისტორიულად ისე ჩამოყალიბდა, რომ საქართველში სამი მონოთეისტური რელიგიის გადაიკვეთა. დღესდღეობით აქ მცხოვრები მოსახლეობის 88.1% ქრისტიანობას, 10.7% ისლამს და 0.8% იუდაიზმს აღიარებს, ხოლო დანარჩენი 0.4% სხვა რელიგიურ მიმდინარეობებს აღიარებს. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ თავად ქართველთა შორის გვხვდება, როგორც მართლმადიდებელი, ასევე კათოლიკე ქრისტიანები; და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქართველთა გარკვეული ნაწილი,

ისლამური რელიგიისა და ტრადიციების მიმდევარიცაა. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც შიიტი და სუნიტი მუსლიმები ერთ მეჩეთში ლოცულობენ და, სადაც ეკლესია, მეჩეთი და სინაგოგა ერთმანეთის გვერდით, ერთ სივრცეში, საუკუნეების განმავლობაში თანაარსებობს.

თანამედროვე მსოფლიო გლობალიზაციისკენ ილტვის. მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეებმა ადამიანთა შორის ახალი დამოკიდებულება და მოლოდინი გააჩინა. კულტურათა შერწყმამ სამყარო კიდევ უფრო დააახლოვა ერთმანეთს. მულტიკულტურული, მულტიეთნიკური და მულტირელიგიური საზოგადოება ერთად ქმნის ახალ მსოფლიოს. ჩვენი ქვეყანა ამ გლობალური პროცესის მონაწილეა. საამისოდ მას ღრმა ისტორიული წარსული და გამოცდილება მოაქვს მხრებით, თუმცა, სამწუხაროდ, საბჭოთა სისტემამ, ტოტალიტარულ რეჟიმში სამოცდაათწლიანმა ცხოვრებამ თავისი დაღი დაასვა დღევანდელ საზოგადოებას, ქართულ რეალობას - რელიგიური შეუწყნარებლობა, განსხვავებულის არ მიღება და განზე გაწევა, თითქმის თანამედროვეობის გადაულახავ დილემად გვექცა.

რადგან რელიგიური კონფლიქტების მთავარი წყარო „მოჩვენებითი მორწმუნეები“ არიან, მთავარი იარაღი რელიგიური ტოლერანტობის ასამაღლებლად ხარისხიანი განათლება, მეტი ინფორმაციის ფლობა და განსხვავებულ რელიგიურ კონფესიებს შორის ჯანსაღი კომუნიკაციაა. მინდა დავიმოწმო ალექსანდრე სოლჟენიცინის სიტყვები: „შეუმწყნარებლობა სხვა ადამიანის რწმენის მიმართ არაადეკვატური განათლების ნიშანია. გაუნათლებელი ადამიანი მოუთმენელი და ამპარტავანია, ხოლო განათლებული ადამიანის ცოდნა თავმდაბლობასთანაა შერწყმული“.

საყოველთაო საზოგადოებრივი მშვიდობისა და თანხმობის მიღწევა მრავალფეროვნების პატივისცემით არის შესაძლებელი. მულტიკულტურული, მულტირელიგიური საზოგადოება ფლობს კაცობრიობის განვითარების გასაღებს, რომელიც უნდა იქცეს ახალი მსოფლიოს სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების ძირითად იდეად...

და თუ გვსურს, მსოფლიოს ნაწილი ვიყოთ, ქართულმა საზოგადოებამ უნდა შეძლოს მრავალფეროვნების პატივისცემის გათავისება, დაფასება და განვითარება.

ნიკა კობერიძე
„ახალი ქართული გიმნაზიის“
მე-11 კლასის მოსწავლე